# ქ. ხაშურის N 4 საჯარო სკოლის შენობის
# ავარიული N 1 ფლიგელის
# დემონტაჟის პროექტი

ქ. ხაშური, სარაჯიშვილის ქ. N 49

საკადასტრო კოდი 69.08.52.099

შეთანხმებულია:

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი გურასპაშვილი /__________/

2016 წელი

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო

ქ. ხაშურის №4 საჯარო სკოლის შენობის ავარიული №1

ფლიგელის დემონტაჟი

# სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2016წელი

დანართი N 1

## ხაშურის მუნიციპალიტეტი

**მშენებლობის ობიექტების** (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისა) **მშენებლობის სანებართვო მოწმობა**

## დემონტაჟის ნებართვა N 105

ნებართვის გაცემის თარიღი: 24.10.2016. წ

ნებართვა ძალაშია: 24.10.2017.წ

ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი: 25.10.2016.წ

დამკვეთი: სსიპ ქალაქ ხაშურის N 4 საჯარო სკოლა;

ობიექტის მისამართი: ქ. ხაშური, სარაჯიშვილის ქ. N 49;

საკადასტრო კოდი: 69/08/52/099;

სადემონტაჟო ობიექტი: სკოლის ამორტიზებული (N 1) ფლიგელი;

შენობა–ნაგებობის კლასი: მე-3 კლასი.

**დემონტაჟის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები**

1. ტერიტორიის შემოღობვა;
2. სახურავის დემონტაჟი;
3. II სართულის რკინა-ბეტონის, და კედლების დემონტაჟი;
4. I სართულის რკინა-ბეტონის, და კედლების დემონტაჟი;
5. საძირკვლების დემონტაჟი;
6. ნარჩენების გატანა და ტერიტორიის სრული გათავისუფლება.

**კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები:**

ა) აწარმოოს დემონტაჟი ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) აწარმოოს დემონტაჟი პროექტით განსაზღვრული პირობების დარღვევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს უსაფთხოების ნორმების დაცვა;

დ) უზრუნველყოს სამშენებლო ნარჩენებისგან მოედნის გაწმენდა.

ე) სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მშენებლობის ყოველი ეტაპების დასრულების შემდეგ შეადგინოს ოქმები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი გურასპაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება

KA990197248063516

№ 3043

24 / ოქტომბერი / 2016 წ.

## სსიპ ქალაქ ხაშურის N 4 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ამორტიზებული შენობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57-ე დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილების 72-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N 30 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულად ჩაითვალოს, სსიპ ქალაქ ხაშურის N 4 საჯარო სკოლის (დირექტორი ნანა გაგნიძე) სარგებლობაში არსებული შენობის ამორტიზებული (N 1) ფლიგელის (მდებარე ქ. ხაშური, სარაჯიშვილის ქ. N 49, საკადასტრო კოდი 69.08.52.099, მესაკუთრე სახელმწიფო) დემონტაჟის პროექტი და გაიცეს ნებართვა;

2. ბრძანება ეცნობოს სსიპ ქალაქ ხაშურის N 4 საჯარო სკოლის დირექტორს;

3. ბრძანება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილებას;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა;

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. N15).

გამგებელი გიორგი გურასპაშვილი